



ამილო-X LC

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია 1907/2006/EC რეგულაციისა და მისი შესწორებების შესაბამისად

გამოშვების თარიღი: 27 ივნისი, 2023

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის დასახელება: ამილო-X LC / Valcure
პროდუქტის ტიპი: სუსპენზიის კონცენტრატი [კოდი: SC]
რეგისტრირებულია როგორც მცენარეთა დაცვის საშუალება (EC)1107/2009 რეგულაციის შესაბამისად

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდირებული შეზღუდვები

მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება: ბიოფუნგიციდი
რეკომენდირებული შეზღუდვები: ნებისმიერი გამოყენება, რომელიც არ არის მითითებული ეტიკეტზე.

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

დასახელება: ცერტის უ.ს.ა. ლღ/ Certis U.S.A., LLC
მისამართი: 9145 Guilford Road, Suite 175
კოლუმბია, მერილენდი 21046 აშშ
ტელეფონის ნომერი: +1 (800) 250-5024
ელ-ფოსტა: sds@certisusa.com
ეროვნული კონტაქტი: [გთხოვთ იხილოთ ეროვნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი]

1.4. გადაუდებელი დახმარების ნომერი

გადაუდებელი დახმარების ნომერი: +1 800 255-3924
ეროვნული გადაუდებელი დახმარების ნომერი: [გთხოვთ იხილოთ ეროვნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი]

პარაგრაფი 2. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია CLP შესაბამისად ((EC) No 1272/2008 რეგულაცია)
არ კლასიფიცირდება როგორც საშიში

2.2 ეტიკეტის ელემენტები:

კლასიფიკაცია CLP შესაბამისად ((EC) No 1272/2008 რეგულაცია)

საშიშროების პიქტოგრამები: არცერთი
სასიგნალო სიტყვა: არცერთი
საშიშროების შესახებ განცხადებები: არცერთი

დამატებითი ინფორმაცია საშიშროების შესახებ: EUH401: ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

EUH208 შეიცავს *Bacillus amyloliquefaciens* D747. შეუძლია გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.

გამაფრთხილებელი განცხადებები:

P333 + P313 თუ კანის გაღიზიანება ან გამონაყარი შეინიშნება: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.
P501 შიგთავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

პრევენცია:

P102: შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.
[დამატებითი განცხადებებისათვის გთხოვთ იხილოთ ეროვნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი]

2.3. სხვა რისკები

ევროკავშირის კრიტერიუმებით არ კლასიფიცირდება როგორც PBT/ vPvB.

პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას. პროდუქტი არის ნარევი.

3.2 ნარევი

სახელწოდება	ნივთიერების იდენტიფიკატორი	%	კლასიფიკაცია (EC)1272/2008 რეგულაციის [CLP] შესაბამისად
<i>B. amyloliquefaciens</i> ქვესახეობა <i>plantarum</i> შტამი D747	არ გამოიყენება	5	არ კლასიფიცირდება
პროპიონის მჟავა	CAS: 79-09-4 EC: 607-089-00-0 ინდექსის n. 607-089-00-0	<0.5	კანის კოროზ. 1B, H314; აალ. სითხე 3 - H226; კანის კოროზ.. 1B - H314 კონცენტრაციის ზღვრები: თვალის დაზ. 1 - H318 STOT SE 3 - H335. თვალის გაღიზ. 2; H319: 10 % ≤ C < 25 % STOT SE 3; H335: C ≥ 10 % კანის კოროზ. 1B; H314: C ≥ 25 % კანის გაღიზ. 2; H315: 10 % ≤ C < 25 %
ნატრიუმის ბენზოატი	CAS: 532-32-1 EC: 208-534-8	<0.5	თვალის გაღიზ. 2; H319
სორბინის მჟავა (ჰექსა-2,4-დიენური მჟავა)	CAS: 110-44-1 EC: 203-768-7	<0.5	კანის გაღიზ. 2; H315; თვალის გაღიზ.; H319; STOT SE 3 - H335



უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია 1907/2006/EC რეგულაციისა და მისი შესწორებების შესაბამისად

ამილო-X LC

გამოშვების თარიღი: 27 ივნისი, 2023

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

ზოგადი ზომები	თუ გაქვთ მოწამვლაზე ეჭვი, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, უახლოეს ჰოსპიტალს, ან უახლოეს ტოქსიკოლოგიურ ცენტრს. პირს რომელსაც დაუკავშირდით უთხარით პროდუქტის სრული სახელწოდება, ზემოქმედების ტიპი და რაოდენობა. სრულად აღწერეთ სიმპტომები და შეასრულეთ ყველა რეკომენდაცია. ტოქსიკოლოგიურ ცენტრში ან ექიმთან მიმართვისას თან იქონიეთ პროდუქტის ეტიკეტი.
თვალში მოხვედრა:	<i>თვალში მოხვედრისას:</i> გახელილ მდგომარეობაში თვალები ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს, მოიხსენით პირველი 5 წუთის შემდეგ და გააგრძელეთ თვალების გამორეცხვა. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს ან ექიმს.
კანზე მოხვედრა:	<i>კანზე მოხვედრისას:</i> გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. ჩამოიბანეთ კანი საპნითა და დიდი რაოდენობის წყლით. კანის გაღიზიანების ან გამონაყარის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.
ჩასუნთქვა:	<i>ჩასუნთქვისას:</i> დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, შემდეგ ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს ან ექიმს.
ჩაყლაპვა:	<i>ჩაყლაპვისას:</i> თუ დაზარალებული გონზეა, დაუყოვნებლივ დააღებინეთ დიდი რაოდენობის წყალი და გამოაწვევინეთ ღებინება. თუ ადამიანი უგონო მდგომარეობაშია არ გადააყლაპოთ არაფერი.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და ეფექტები

შეუძლია ალერგიული რეაქციების გამოწვევა.

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება

მითითება ექიმს: სპეციფიკური ანტიდოტი არ არის ცნობილი.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები:

პროდუქტი არ არის თვითაალებადი. დაამუშავეთ გარემომცველი/ახლომდებარე მასალები.

ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამო საშუალებები

არ არის ხელმისაწვდომი

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

საშიში წვის პროდუქტები:

გამოყენების ნორმალურ პირობებში საშიში რეაქციები არ არის ცნობილი.



ამილო-X LC

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია 1907/2006/EC რეგულაციისა და მისი შესწორებების შესაბამისად

გამოშვების თარიღი: 27 ივნისი, 2023

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

თავდაცვის ზომები მეხანძრეებისათვის: დაიკავეთ ხანძრის ადგილიდან ქარპირა მხარე.

პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრისას/დაფრქვევისას

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

არასაგანგებო პერსონალისათვის: მოარიდეთ გარემო პირები სახიფათო ზონას. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, როგორც ეს მითითებულია მე-8 პარაგრაფში. მოახდინეთ სახიფათო ზონის ევაკუაცია და დაიცავით საგანგებო პროცედურები.
მაშველებისათვის: გამოიყენეთ მე-8 პარაგრაფში რეკომენდებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მოახდინეთ სახიფათო ზონის იზოლირება და აკრძალეთ არასაჭირო და დაუცველი პერსონალის შესვლა.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

დაუშვებელია პრეპარატის კონტეინერების ხელახლა გამოყენება. გადაყარეთ პროდუქტის კონტეინერების, ნარჩენების კონტეინერებისა და ნარჩენების უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

ლოკალიზაციის/შეკავების მეთოდები: შეაგროვეთ დაღვრილი/გაფანტული პრეპარატი. თუ შესაძლებელია გადაამუშავეთ დაღვრილი მასალა.
დასუფთავების მეთოდები: მცირე რაოდენობის დაღვრილი პრეპარატის შეაგროვება ან შეწოვა მოახდინეთ ინერტული მასალით და მოათავსეთ აპრობირებულ ქიმიურად მედეგ კონტეინერში. დაღვრილი პრეპარატი მოწმინდეთ ძლიერი სარეცხი საშუალებების შემცველი წყლით, აბსორბირება მოახდინეთ შინაური ცხოველების ჩალის ან თივის საფენით ან სხვა შთამნთქმელი მასალით, ახვეტეთ და მოათავსეთ ქიმიურ ჭურჭელში. დალუქეთ ჭურჭელი და მოეპყართ დადგენილი წესების შესაბამისად. ნარჩენების სრულყოფილად მოსაცილებლად დაღვრის ადგილი კარგად მორეცხეთ წყლით. არ დაუშვათ ნარეცხი წყლით წყალმომარაგების სისტემების დეკონტამინაცია.
დამატებითი ინფორმაცია: შემასხურებელი მოწყობილობა კარგად გამორეცხეთ წყლით და მოასხურეთ უკვე დამუშავებულ ტერიტორიაზე. არასახიფათო ნარჩენების გატანა/უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი წესების შესაბამისად.

6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის საშუალებებია შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი. ნარჩენების მართვის შესახებ იხილეთ მე-13 პარაგრაფი.

პარაგრაფი 7. შენახვისა და გამოყენების პირობები

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

– საკვებისა და სითხის მიღებამდე, საღეჭი რეზინის, თამბაქოს ან ტუალეტის გამოყენებამდე გულდასმით დაიბანეთ ხელები.

- სასწრაფოდ მოიშორეთ ტანსაცმელი/ინდივიდუალური Pდაცვის საშუალებები, თუ პესტიციდები მოხვდება შიგნით. შემდეგ დაიბანეთ საფუძვლიანად და ჩაიცვით სუფთა ტანსაცმელი.
- ამ პროდუქტის გამოყენებისთანავე მოიშორეთ ინდივიდუალური Pდაცვის საშუალებები. მოხსნამდე გარეცხეთ ხელთათმანების გარე მხარე. დაიბანეთ საფუძვლიანად რაც შეიძლება მალე და ჩაიცვით სუფთა ტანსაცმელი.

კანთან ხანგრძლივმა ან ხშირად განმეორებითმა კონტაქტმა ზოგიერთ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. მოარიდეთ კანთან, თვალებთან ან ტანსაცმელთან შეხებას. არ შეისუნთქოთ გაფრქვეული ნისლი. გამოყენების შემდეგ დაიბანეთ სრულყოფილად საპნითა და წყლით. გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ის ხელახლა გამოყენებამდე.

7.2 უსაფრთხო შეინახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

შეინახეთ მშრალ, ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. შეინახეთ მხოლოდ ქარხნულ ტარაში. როდესაც არ იყენებთ, ტარა შეინახეთ თავდახურულ მდგომარეობაში.

7.3 კონკრეტული საბოლოო გამოყენება

ამილო-X LC არის ბიოლოგიური ფუნგიციდი; ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1. კონტროლის პარამეტრები

ამ ნივთიერებისათვის სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრები არ არის დადგენილი. საწარმო ობიექტებში *B. amyloliquifaciens* D747-ის შემცველი მასალის გამოთავისუფლების ან დაღვრის შემთხვევაში უსაფრთხოების სტანდარტული ზომები უზრუნველყოფს მომუშავეთა ჯანმრთელობის ადეკვატურად დაცვას.

თითოეული თანაფორმულანტისათვის ქვემოთ მოცემულია მიღებული ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებლები (DNEL) ECHA-ს შესაბამისად

მიღებული არაეფექტური ან მინიმალური ზემოქმედების დონეები (DN(M)EL) REACH 1907/2006/EC რეგულაციის შესაბამისად

ნივთიერება	საბოლოო გამოყენება	ექსპოზიციის გზა	ჯანმრთელობაზე გავლენა	მნიშვნელობა
პროპიონის მჟავა	მონაცემები მუშებისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი: ლოკალური ეფექტები: ხანგრძლივი: ლოკალური ეფექტები: მწვავე / ხანმოკლე:	73 მგ/მ ³ 31 მგ/მ ³ 62 მგ/მ ³
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	ლოკალური ეფექტები: ხანგრძლივი: ლოკალური ეფექტები: მწვავე / ხანმოკლე:	3.7 მგ/მ ³ 30.8 მგ/მ ³
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	18.3 მგ/მ ³
	მონაცემები მუშებისათვის	დერმალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	20.9 მგ/კგ სხეულის წონაზე/დღეში
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	დერმალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	10.5 მგ/კგ სხეულის წონაზე/დღეში
	მონაცემები	ორალური	სისტემური ეფექტები:	10.5 მგ/კგ



ამილო-X LC

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია 1907/2006/EC რეგულაციისა და მისი შესწორებების შესაბამისად

გამოშვების თარიღი: 27 ივნისი, 2023

	ძირითადი მოსახლეობისათვის	ექსპოზიცია	ხანგრძლივი:	სხეულის წონაზე/დღეში
--	---------------------------	------------	-------------	----------------------

პროგნოზირებული არაეფექტური კონცენტრაცია (PNEC):

პროპიონის მჟავა:

წყლის ორგანიზმების მიმართ საშიშროება	ხმელეთის ორგანიზმების მიმართ საშიშროება
<p>მტკნარი წყალი: 500 მკგ/ლ პერიოდული გამოყოფა (მტკნარი წყალი): 5 მგ/ლ ზღვის წყალი: 50 მკგ/ლ კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა (STP): 5 მგ/ლ ნალექი (მტკნარი წყალი): 1,86 მგ/კგ ნალექის მშრალ მასაზე ნალექი (ზღვის წყალი): 186 მგ/კგ ნალექის მშრალ მასაზე</p>	<p>ნიადაგი: 125,8 მგ/კგ ნიადაგის მშრალი მასაზე</p>

მიღებული არაეფექტური ან მინიმალური ზემოქმედების დონეები (DN(M)EL):

ნივთიერება	საბოლოო გამოყენება	ექსპოზიციის გზა	ჯანმრთელობაზე გავლენა	მნიშვნელობა
ნატრიუმის ბენზოატი	მონაცემები მუშებისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი: ლოკალური ეფექტები: ხანგრძლივი:	3 მგ/მ ³ 100 მკგ/მ ³
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	ლოკალური ეფექტები: ხანგრძლივი:	60 მკგ/მ ³
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	1.5 მგ/მ ³
	მონაცემები მუშებისათვის	დერმალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	62.5 მგ/კგ სხეულის წონაზე/დღეში
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	დერმალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	312.5 მგ/კგ სხეულის წონაზე/დღეში
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ორალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	16.6 მგ/კგ სხეულის წონა/დღეში

პროგნოზირებული არაეფექტური კონცენტრაცია (PNEC):

ნატრიუმის ბენზოატი:

წყლის ორგანიზმების მიმართ საშიშროება	ხმელეთის ორგანიზმების მიმართ საშიშროება
<p>მტკნარი წყალი: 130 მკგ/ლ პერიოდული გამოყოფა (მტკნარი წყალი): 305 მკგ/ლ ზღვის წყალი: 13 მკგ/ლ კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა (STP): 10 მგ/ლ ნალექი (მტკნარი წყალი): 1,76 მგ/კგ ნალექის მშრალ მასაზე ნალექი (ზღვის წყალი): 176 მგ/კგ ნალექის მშრალ მასაზე</p>	<p>ნიადაგი: 60 მგ/კგ ნიადაგის მშრალი მასაზე</p>



ამილო-X LC

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია 1907/2006/EC რეგულაციისა და მისი შესწორებების შესაბამისად

გამოშვების თარიღი: 27 ივნისი, 2023

მიღებული არაეფექტური ან მინიმალური ზემოქმედების დონეები (DN(M)EL):

ნივთიერება	საბოლოო გამოყენება	ექსპოზიციის გზა	ჯანმრთელობაზე გავლენა	მნიშვნელობა
ჰექსა-2,4-დიენური მჟავა	მონაცემები მუშებისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	17.63 მგ/მ ³
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	ლოკალური ეფექტები: ხანგრძლივი:	26.08 მგ/მ ³
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ინჰალაციური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	52.17 მგ/მ ³
	მონაცემები მუშებისათვის	დერმალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	40 მგ/კგ სხეულის წონაზე/დღეში
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	დერმალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი: სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	312.5 მგ/კგ სხეულის წონაზე/დღეში 170 მკგ/სმ ²
	მონაცემები ძირითადი მოსახლეობისათვის	ორალური ექსპოზიცია	სისტემური ეფექტები: ხანგრძლივი:	2 მგ/კგ სხეულის წონა/დღეში

პროგნოზირებული არაეფექტური კონცენტრაცია (PNEC):

ჰექსა-2,4-დიენური მჟავა:

წყლის ორგანიზმების მიმართ საშიშროება	ხმელეთის ორგანიზმების მიმართ საშიშროება
<p>მტკნარი წყალი: 129 მკგ/ლ</p> <p>პერიოდული გამოყოფა (მტკნარი წყალი): 241 მკგ/ლ</p> <p>ზღვის წყალი: 12.94 მკგ/ლ</p> <p>კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა (STP): 10 მგ/ლ</p> <p>ნალექი (მტკნარი წყალი): 465 მგ/კგ ნალექის მშრალ მასაზე</p> <p>ნალექი (ზღვის წყალი): 46 მკგ/კგ ნალექის მშრალ მასაზე</p>	<p>ნიადაგი: 5 მგ/კგ ნიადაგის მშრალი მასაზე</p>

8.2. ზემოქმედების კონტროლი

საიჟინრო კონტროლი:

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

თვალის/სახის დაცვა:

კანის დაცვა

ხელის დაცვა:

სხეულის დაცვა:

სასუნთქი გზების დაცვა:

თერმული საფრთხეები:

ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნები:

გარემოზე ზემოქმედების კონტროლი:

უზრუნველყავით სათანადო განიავება არ არის საჭირო

რეკომენდებულია ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად ატარეთ დამცავი წყალგაუმტარი ხელთათმანები.

გრძელმკლავიანი პერანგი და გრძელი შარვალი.

ატარეთ შესაბამისი სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები

არ გამოიყენება

მოეპყარით დადგენილი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად.

დაიცავით გარემოს დაცვის შესახებ ყველა მოქმედი კანონმდებლობა.

პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

გარეგანი სახე:	ქვიშისფერი ყვითელი
სუნი:	დამახასიათებელი
სუნის ზღვრული:	არ არის ხელმისაწვდომი
pH:	4.39
ლღობის ტემპერატურა/გაცივნის ტემპერატურა:	არ გამოიყენება (რადგან ეს არის ნარევი, გაიზომება მხოლოდ დიაპაზონი).
საწყისი დუღილის ტემპერატურა:	არ არის ხელმისაწვდომი
დუღილის დიაპაზონი:	> 100 °C
აალების წერტილი:	საცდელ ნივთს არ აქვს აალების წერტილი ატმოსფერულ პირობებში (1013ჰპა)
აორთქლების სიჩქარე:	არ არის ხელმისაწვდომი
აალებადობა (მყარი, გაზი):	არ არის ძლიერ აალებადი (ტესტირების მეთოდი ევროკომისიის (EC) 440/2008 რეგულაციის შესაბამისად). ტესტირების მეთოდი: EEC A.10.
აალებადობის ან ფეთქებადობის ქვედა/ზედა ზღვრები:	არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის წნევა:	არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის სიმკვრივე:	არ არის ხელმისაწვდომი
სიმკვრივე:	1.06 გ/მლ
წყალში ხსნადობა:	არ არის ხელმისაწვდომი
განაწილების კოეფიციენტი (ნ-ოქტანოლი/წყალი):	არ არის ხელმისაწვდომი
თვითაალების ტემპერატურა:	540°C (ტესტირების მეთოდი ევროკომისიის (EC) 440/2008 რეგულაციის შესაბამისად, ტესტირების მეთოდი EEC A.15)
დაშლის ტემპერატურა:	არ არის ხელმისაწვდომი
სიბლანტე:	არ არის ხელმისაწვდომი
ფეთქებადი თვისებები:	არ არის ფეთქებადი (ტესტირების მეთოდი ევროკომისიის რეგულაციის (EC) 440/2008 შესაბამისად). ტესტირების მეთოდი: EEC A.14
ჟანგვითი თვისებები	არ არის დამყანგველი (ტესტირების მეთოდი ევროკომისიის რეგულაციის (EC) 440/2008 შესაბამისად). ტესტირების მეთოდი: EEC A.17

9.2. დამატებითი ინფორმაცია

არ არის ხელმისაწვდომი

პარაგრაფი 10. მდგრადობა და რეაქციაში შესვლის უნარი

- 10.1. რეაქციის უნარიანობა
სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი როდესაც გამოიყენება და ინახება დადგენილი პირობების შესაბამისად.
- 10.2. ქიმიური მდგრადობა
მდგრადია როდესაც გამოიყენება და ინახება დადგენილი პირობების შესაბამისად.
- 10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა
სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი.
- 10.4. ასარიდებელი გარემოებები
ასარიდებელი გარემოებები არ არის ცნობილი როდესაც გამოიყენება და ინახება დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.5. შეუთავსებელი მასალები

შეუთავსებელი მასალები არ არის ცნობილი.

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები

250°C-ზე მაღალ ტემპურატურაზე საშიში დაშლის პროდუქტები არ არის ცნობილი.

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

ექსპოზიციის გზა:
სიმპტომები:
გადაყლაპვა

გადაყლაპვა, ინჰალაცია, კანზე და თვალებზე მოხვედრა

თვალები

მიკროორგანიზმის სემცველი პრეპარატების გამოყენებით გამოწვეული არსებითი და კრიტიკული ეფექტები არ არის ცნობილი.

კანი

მიკროორგანიზმის სემცველი პრეპარატების გამოყენებით გამოწვეული არსებითი და კრიტიკული ეფექტები არ არის ცნობილი.

მიკროორგანიზმის სემცველი პრეპარატების გამოყენებით გამოწვეული არსებითი და კრიტიკული ეფექტები არ არის ცნობილი.

შეიძლება ჰქონდეს ალერგიული რეაქციების პროვოცირების პოტენციალი

მწვავე ტოქსიკურობა

ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია ნივთიერების ან ნარევის შესახებ:

LD50 (პერორალური)

> 5000 მგ/კგ სხეულის წონაზე, ვირთაგვა, რომელიც შეესაბამება > 2.5 10¹¹ CFU *B. amyloliquefaciens* D474/ კგ სხეულის წონაზე, ვირთაგვა (კვლევა WG პრეპარატით მოქმედი ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაციით)

LD50 (დერმალური)

> 5050 მგ/კგ სხეულის წონაზე, ვირთაგვა, რომელიც შეესაბამება > 2.55 10¹¹ CFU *B. amyloliquefaciens* D474/ კგ სხეულის წონაზე, ვირთაგვა (კვლევა WG პრეპარატით მოქმედი ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაციით)

LC50 (ინჰალაციური)

> 2.18 მგ/ლ 1.1 x 10⁸ CFU/ლ (მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია ჰაერში) ეფექტი არ დაფიქსირებულა (კვლევა WG პრეპარატით მოქმედი ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაციით)

კანის კოროზია/გალიზიანება:

0.0-ის PII-ზე დაყრდნობით, ტესტირებული ნივთიერება შეფასებულია როგორც არაგამაღიზიანებელი.

თვალის სერიოზული დაზიანება/გალიზიანება:

დამუშავების შემდეგ არც ერთ თვალზე არ გამოვლენილა დადებითი ეფექტი, შეფასებულია როგორც პრაქტიკულად არა გამაღიზიანებელი.

რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია:

შეიცავს *B. amyloliquefaciens* D747-ს. შეუძლია ალერგიული რეაქციების გამოწვევა.

მუტაგენური მოქმედება:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მიკროორგანიზმების ან მცენარეთა დაცვის საშუალების შესახებ, რომელიც შეიცავს მიკროორგანიზმს, როგორც აქტიურ ნივთიერებას, სპეციფიკური ინფორმაცია არ არის საჭირო.
სასქესო უჯრედების მუტაგენურობა:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მიკროორგანიზმების ან მცენარეთა დაცვის საშუალების შესახებ, რომელიც შეიცავს მიკროორგანიზმს, როგორც აქტიურ ნივთიერებას, სპეციფიკური ინფორმაცია არ არის საჭირო.
კანცეროგენული მოქმედება:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
რეპროდუქციული ტოქსიკურობა:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
განვითარების ტოქსიკურობა:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მიკროორგანიზმების ან მცენარეთა დაცვის საშუალების შესახებ, რომელიც შეიცავს მიკროორგანიზმს, როგორც აქტიურ ნივთიერებას, სპეციფიკური ინფორმაცია არ არის საჭირო.
ფერტილურობა:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მიკროორგანიზმების ან მცენარეთა დაცვის საშუალების შესახებ, რომელიც შეიცავს მიკროორგანიზმს, როგორც აქტიურ ნივთიერებას, სპეციფიკური ინფორმაცია არ არის საჭირო.
სამიზნე ორგანოები:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
STOT – განმეორებითი ექსპოზიცია:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
ასპირაციის საფრთხე:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მიკროორგანიზმების ან მცენარეთა დაცვის საშუალების შესახებ, რომელიც შეიცავს მიკროორგანიზმს, როგორც აქტიურ ნივთიერებას, სპეციფიკური ინფორმაცია არ არის საჭირო.
ნარკოზი:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
ინტერაქტიული ეფექტები:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
ქრონიკული ეფექტები	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

დამატებითი ინფორმაცია ჯანმრთელობაზე არასასურველი ეფექტების შესახებ: დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

დასკვნა: არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა დაბალტოქსიკური და არაპათოგენურია ტესტირებული წყლის ბინადარების (თევზი, დაფნია, წყალმცენარეები), ფრინველების, ფუტკრებისა და არასამიზნე ფეხსახსრიანების მიმართ.

ტესტირებული სახეობა	ტესტირების მეთოდი	ტესტირებული ნივთიერება	LC50
<i>Oncorhynchus mykiss</i>	30 დღე	<i>B. amyloliquifaciens</i> D747	LC50 > 8.1 x 1010 CFU/ლ NOEC = 1.44 x 1010 CFU/ლ
<i>Daphnia magna</i>	21 დღე	<i>B. amyloliquifaciens</i> D747	EC50 (სიკვდილობა) > 2.3 x 1010 CFU/ლ NOEC = 2,84 x 108 CFU/ლ
<i>Desmodesmus subspicatus</i>	72 დღე	ამილო-X WG	EbC50 > 2.3 x 1010 CFU/L (144 მგ/ლ)
<i>Apis mellifera L</i>	48-საათიანი, დოზაზე რეაქციის ტესტი	ამილო-X WG	LD50 პერორალური /48 სთ > 446.63 მკგ/ფუტკარზე LD50 კონტაქტური /48 სთ > 320 მკგ/ფუტკარზე

12.2. მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

მოქმედი ნივთიერების *B. amyloliquifaciens* შტამი D474 პოპულაციების გარემოში გავრცელება სავსე გამოყენების დროს ან მის შემდგომ პერიოდში სწრაფად შემცირდება ბუნებრივ ფონურ დონემდე. *B. amyloliquifaciens*-ის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობა/კონკურენციაზე, მიკრობულ შეტევაზე (ინფექცია) და მზის შუქის მოქმედებით ინაქტივაციაზე. ვეგეტატიური უჯრედების მდგრადობა საკმაოდ ხანმოკლეა, სპორები კი შეიძლება შენარჩუნდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თუმცა საბოლოოდ მაინც დეგრადირდება.

12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

მოქმედი ნივთიერება *B. amyloliquifaciens* შტამი D474 არ მრავლდება და არ აკუმულირდება ცხოველებში და ადამიანებში.

12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

მოქმედი ნივთიერების *B. amyloliquifaciens*-ის სპორები ადვილად შთაინთქმება ნიადაგში არსებულ თიხის ფრაქციებით და გამორეცხვის ფაქტები არ ფიქსირდება. ამიტომ მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკი უმნიშვნელოდ ითვლება.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

არ არის ხელმისაწვდომი, რადგან ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ არის საჭირო/არ ჩატარებულა.

12.6. ენდოკრინული დამრღვევი თვისებები

მიკროორგანიზმებისათვის არ არის საჭირო

12.7. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

12,8. დამატებითი ინფორმაცია

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

პარაგრაფი 13. ნარჩენების მართვა

13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები

უტილიზაციის ინსტრუქციები:

ნარჩენები უნდა განადგურდეს/განათავსდეს ნარჩენების შესახებ 2008/98/EC დირექტივის, ასევე სხვა ეროვნული და ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად, დაუშვებელია სხვა ნარჩენებთან შერევა. გაუწმენდავ კონტეინერებს მოეპყარით როგორც თავად პროდუქტს. ნარჩენების უტილიზაცია არ უნდა მოხდეს საკანალიზაციო სისტემებში ჩაშვებით.



ამილო-X LC

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია 1907/2006/EC რეგულაციისა და მისი შესწორებების შესაბამისად

გამოშვების თარიღი: 27 ივნისი, 2023

პარაგრაფი 14: ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

14.1. UN ნომერი

არ რეგულირდება.

14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი

არ რეგულირდება.

14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას

არ რეგულირდება.

14.4. შეფუთვის ჯგუფი

არ რეგულირდება.

14.5. ეკოლოგიური საფრთხეები

არ რეგულირდება.

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის

არ რეგულირდება.

14.7. დაუფასოებელი ტვირთების გადაზიდვა MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად

არ რეგულირდება.

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარევებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

აგტორიზაციები:

მოქმედი ნივთიერება *B. amyloliquefaciens* შტამი D747, რომელსაც შეიცავს ეს პროდუქტი, შეტანილია ARS კულტურის კოლექციაში (NRRL).

გამოყენების შეზღუდვები:

პეორია, ილინოისი, აშშ საიდენტიფიკაციო ნომერით B-50405 არანაირი.

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ქიმიური უსაფრთხოების შეფასება:

არ გამოიყენება მიკროორგანიზმებისათვის. ამ ნივთიერების ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.

პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

პასუხისმგებლობის უარყოფა:

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქ წარმოდგენილი ინფორმაცია არის სწორი. თუმცა, არც „Certis USA“ და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ იღებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის თაობაზე. ნებისმიერი პრეპარატის შესაფერისობის (ვარგისიანობის) საბოლოო შეფასება არის მხოლოდ მომხმარებლის პასუხისმგებლობა. ყველა ნივთიერება შესაძლოა იყოს ჯანმრთელობისათვის უცნობი საფრთხის შემცველი და შესაბამისად სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ აქ არის აღწერილი გარკვეული საფრთხეები, ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას, რომ მათ გარდა არ არსებობს სხვა რისკები.

ინფორმაცია უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის შესახებ:

- შედგენის თარიღი: 2011 წლის 11 მაისი
- განახლების თარიღი: 2023 წლის 27 ივნისი
- ვერსიის ნომერი: 3.0
- წინა ვერსია: 2.0.

SDS მოამზადა: Certis U.S.A., L.L.C.-ის მიერ
შემოკლებები და პირობითი აღნიშვნები

ARS = სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

CFU=მიკროორგანიზმის კოლონიის წარმომქმნელი ერთეული

CIPAC = პესტიციდების ერთობლივი საერთაშორისო ანალიტიკური საბჭო

CLP = რეგულაცია კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ [რეგულაცია (EC) No. 1272/2008]

EEC = ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია

EC = ევროპის თანამეგობრობის

ECHA = ქიმიური ნივთიერებების ევროპული სააგენტო

EU = ევროკავშირი

EUH statement = CLP – სპეციფიკური საშიშროების შესახებ განცხადებები

LoW = ნარჩენების სია (იხილეთ <http://ec.europa.eu/environment/waste/framework/list.htm>)

IBC = IBC კოდექსი ნიშნავს დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების გადამზიდავი გემების მშენებლობისა და აღჭურვის შესახებ საერთაშორისო კოდექსს.

IMO = საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია

LC50 = ლეტალური კონცენტრაცია 50%-მდე საცდელი პოპულაციისათვის.

LD50 = ლეტალური დოზა 50%-მდე საცდელი პოპულაციისათვის (საშუალო ლეტალური დოზა)

NOEC = დაუფიქსირებელი ეფექტური კონცენტრაცია

N/A = არ არის ხელმისაწვდომი

PBT= მდგრადი, ბიოაკუმულაციური და ტოქსიკური

PPE = ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

SDS = უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

UN = გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

vPvB = ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულაციური